№ 33
სამშაბათი, 13 თებერვალი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 33
სამშაბათი, 13 თებერვალი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ. ფასები დაკლებულია.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირბანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილისა და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—20)

ძმ. მ. და ქ. ენიკოლოფოვების

აფთიაქში

მკურნალები ჰმორიგეობენ

ღამ-ღამობით

საღამოს 9 საათ. დილის 7 საათამდე.

გოლოვინის პროსპექტი, კადეტთა კორპუსის გვერდით.

(10—29—4). **ტელეფონი, № 637.**

მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: ახალციხის სამაზრო გამგეობის საქმის მწარმოებელი არდაზიანი—ახალციხის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად; ტფილისის სამაზრო გამგეობის საქმისმწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. თოფურია—ბორჩალოს სამაზრო გამგეობის მდივნის თანამდ. აღმასრულებლად.

გამწესებულ იქმნა აზნ. დავით თულაშვილი—გორის სამაზრო გამგეობის შტატგარეშე მოხელედ.

◆

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზედ დაადგინა გადასდოს 10,000 მანეთი კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის მოსაწყობ მოსამართავად. ამ საგნის შესახებ დადგენილებას ქალაქის გამგეობა ახლოს მომავალში წარუდგენს განსახილველად ტფილისის ქალაქის საბჭოს.

⁂ დღეს, 13 თებერვალს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექნება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელიც, სხვათა შორის, დაამთავრებს საზოგადოების ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს იმ თანხის გადიდების შესახებ, რომელსაც კავკასიის მიწა-ადგილების გეოლოგიურად და სხვა მხრივად კვლევა-ძიებას ანდომებენ. ფინანსთა სამინისტრო თანახმაა თურმე ამ საქმისათვის 1901 წლიდგან, 8,000 მანეთის ნაცვლად, როგორც აქამდის იყო, 35,000 მანეთი გადასდოს ხოლმე წლიწადში.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია შეიძინოს საუკეთესო და ადვილად გასაგები თხზულებანი სასოფლო-მეურნეობის შესახებ და დაურიგოს უსასყიდლოდ სოფლის წიგნთ-საცავებს.

⁂ რკინის გზათა გამგეობის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რკინის გზაზედ მძიმე ავადმყოფი აღმოჩნდება და რკინის გზის მკურნალი კი სხვაგან არის, ადგილობრივმა ფელდშერმა და სადგურის უფროსმა უეჭველად დაიბაროს ხოლმე მახლობელს ადგილიდგან კერძო მკურნალნი. ამას გარდა, ყველა სადგურებსა, სახელოსნოებსა და სხვა ადგილებში მოსამსახურეთა საყურადღებოდ განცხადებანი უნდა იქმნას გაკრული; ამ განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს, რომელი მკურნალნი სცხოვრობენ მახლობლად და რომელ შემთხვევაში შეუძლიანთ მოსამსახურეთ მოიწვიონ გზის ხარჯით ეს კერძო მკურნალნი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ თავ. ნ. თავდგირიძის ქ. ოზურგეთის რწმუნებულთა არჩევნებში მონაწილეობა კანონიერად არა სცნო, რადგანაც თავ. თავდგირიძეს მხოლოდ ოპეკუნის ცენზი ჰქონდა. როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, ეს დადგენილება საკრებულოსი, თავ. თავდგირიძის მიერ განსაჩივრებული, უმართებულესს სენატს კანონიერად არ უცვნია და გაუუქმებია.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ქალაქ სოხუმის მოურავის თანაშემწედ აურჩევიათ სოხუმის პოლიცმეისტრად ნამყოფი ბ-ნი კოტლიარევსკი.

⁂ დღეს, 13 თებერვლისათვის, დანიშნულია საგუბერნიო საადგილ-მამულო გარდასახადთა გამწერ. საკრებულოს სხდომა ახალციხის მაზრის საადგილ-მამულო გარდასახადთა გაწერის საქმის განსახილველად, ხოლო ხვალ, 14 თებერვალს, საკრებულო განიხილავს თელავის მაზრის საადგილ-მამულო გარდასახადთა გაწერის საქმეს.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ მიიღო უმართებულესის სენატის ბრძანება თავ. შიხი ტუსიშვილისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, აზ. ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმის შესახებ. სენატს, უცვნია რა თავ. ბარათაშვილი და ტერ-შმოვანოვი ამ დანაშაულობისათვის სასჯელის ღირსად სასჯ. დებულების მე-31 მუხლის თანახმად სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებისა წინააღმდეგ დაუდგენია: 1) გაუქმებულ იქნას ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტის განაჩენი თავ. ბარათაშვილისა და ტერ-შმოვანოვის სასჯელის გარდაწყვეტის შესახებ და მიენდოს პალატას ამ საგნის შესახებ ახალი განაჩენი დაადგინოს და 2) დაევალოს ტფილისის სამოსამართლო პალატას დაადგინოს დამატებითი განაჩენი, რომლითაც უნდა შეეცვალოს ყველა ოთხივე დამნაშავეს სასჯელი უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს დადგენილების თანახმად (კანონთა კრებული 1900 წ. № 67 და 1509). სხვა მხრივ სენატს სამოსამართლო პალატის განაჩენი უკვე დაუმტკიცებია.

⁂ პარასკევს, 9 თებერვალს, გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულის ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის შესრულების საქმე. კომისიას განუხილავს ქალაქის ტეხნიკოსთა მიერ წარდგენილი პროექტი იმ შეუძლებელთა თავშესაფარისა, რომელსაც აგებენ ზუბალაშვილის სახელობაზედ. ეს პროექტები კომისიას ბ-ნ ბილფელდისა და გრიქუროვისათვის გადაუცია დაწვრილებით განსახილველად.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საგანგებო საქმეთა მოხელე ნ. ვ. პროკოპე დანიშნულ იქმნა ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საბჭოს საქმეთა გამგედ.

⁂ როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, საქონლის ჭირი ამ ბოლოს დროს აღმოჩენილა გორისა, დუშეთისა, თიანეთისა და ბორჩალოს მაზრებში.

⁂ მიმდინარე 1901 წლისათვის ქალაქის გამგეობა აპირებს მოკირწყლოს ქალაქის ქუჩები, სულ 29,180 ოთხ-კუთხი საჟენი. ამისათვის გადადებულ იქმნა 20,676 მან.

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, ტყვიბულის ქვანახშირის მადნები შეუძენია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 1 მილიონ მანეთად. ამ ფულში ჩათვლილ იქმნება სახელმწიფო ბანკისა, ხაზინისა და გზათა სამინისტროსათვის მისაცემი ვალი სულ 1,048,100 მან.

⁂ ფოთი. ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში ქ-ნ ა. ვ. მიქაბერიძის თაოსნობით წმიდა ოლგას დედათა სკოლის სასარგებლოდ გამართული იყო „თეთრი ბალი“. საღამოს ბლომად დაესწრო თეთრათ შემოსილნი მანდილოსნები. ცეკვამ მეტად გაართო თეთროსანთა მოცეკვავე ქალთა გუნდი, რადგან ამ საღამოს „კოტილიონისათვის“ საღამოს დიასახლისს კარგი ნივთები დაემზადებინა საჩუქრად. დილის ოთხ საათამდის გასტანა ცეკვამ.

⁂ დ. ყვირილა. 11 თებერვალს, საღამოს $8^1/_2$ საათზედ, როდესაც აქ მატარებელი № 270 მოვიდა, სროლა ატყდა პოლიციის დარაჯთა და ამ მატარებლით მოსულ საპატიმროდგან გაქცეულ დამნაშავეთა შორის. ამ სროლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი გამოქცეულთაგანი, გვარად ჩხეიძე.

⁂ ტფილისის საბჭოს ხმოსანს ი. მალინინს ხმოსნობისათვის თავი გაუნებებია.

⁂ როგორც „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, 1 ლ გილდის ვაჭარი მანთაშევი დაუნიშნავთ ტფილისის საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ.

⁂ 6 მარტისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად ცნობილი საქმე სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეთა და სამსონ შომიტაიშვილისა, რომელთაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან 50 ათას მანეთის მოპარვა ჰბრალდებათ.

⁂ 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ქართველ ქალთა საამხანაგო სახელსაქმო სკოლაში გაიმართა საღამო მოსწავლე ქალების მონაწილეობით და მასწავლებელთა დახმარებით. საზოგადოება $9^1/_2$ საათზედ დაიშალა დიდად ნასიამოვნები.

⁂ ერთს კერძო კაცს უთხოვნია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულისათვის ნება დაერთოს, რომ ველიამინოვის ქუჩის ბოლოდგან საბოტანიკო ბაღამდე გვირაბი გაიყვანოს.

⁂ კვირას, 11 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის თავადის დავით ზაქარიას ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად. როგორც წირვაზედ, აგრეთვე პანაშვიდზედაც განსვენებულის ნათესავნი, ნაცნობნი და პატივისმცემელნი დაესწრნენ.

⁂ როგორც „კვალს“ რაჭიდგან სწერენ, 13 იანვარს, ს. მაწყვალთში

თოვლის ზვავს ხუთი კაცი დაუხრჩვია. დამხრჩვალთა გვამები ვერ უპოვნიათ. 15 იანვარს კიდევ ერთი მოდა დამხრჩვალა ზვავისაგან ს. ზემლეთში.

⁂ ქალაქის შტატ-გარეშე მეოთე ტეხნიკოსი ადჯანოვი დანიშნულ იქმნა ქალაქის ხუროთ-მოძღვრად ბ-ნ ქურდიანის მაგივრად, რომელიც დაინიშნა ქალაქის წყლის მიღის გამგედ.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში დღეს, 13 თებერვლისათვის, განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის მცხოვრებ თავადთა სარდიონ მურზაყანის ძის, დავით და პლატონ ბაბიას ძეთა და ლევან მიხეილის ძის ფაღავებისა, რომელთაც ს. ბანძის მცხოვრების დათა კეკელიას დაჭრა და მოკვლა ბრალდებათ. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილნი ბ-ნნი ოპოჩინინი და თავ. ფაღავა.

⁂ 8 თებერვალს, საღამოს 7—10 საათზე, როცა სახლის პატრონები სახლში არ იმყოფებოდნენ, მოიპარეს შემდეგი ნივთები:

ავლაბრის ქუჩაზე, რევაზოვის სახლში, ნაზაროვს კარები გაუტეხეს და წაიღეს ერთი ნოხი, ღირებული 16 მან.

წყნეთის ქუჩაზე, დიომიდე ომინაძეს ოთახის კარებში შუშები ჩაამტვრიეს და მოიპარეს 60 მან. ნივთები.

ეჩმიაძინის ვიწრო ქუჩაში ბრეგვაძის პურის საცხობიდგან წაუღიათ 80 მან. ფულად, ჩერქეზული ტანისამოსი და შარვალი.

ციციანოვის ქუჩაზე მართა ანანოვისთვის მოუპარიათ ნოხი და ჩექმები, ღირებული 35 მანეთად.

⁂ 8 თებერვალს, ნიკიტინის ცირკში შესულა ორი სოფლელი, რისთვისაც ბილეთები უყიდნიათ. ცირკის კარებში დახვედრიათ ვიღაც კაცები და ბილეთები მოუთხოვნიათ. სოფლელებსაც გარდაუციათ მათთვის ბილეთები. ნამდვილ შვეიცარს-კი ეს სოფლელები კარში გამოუგდია როგორც უბილეთონი. ამ გვარად ხშირად ატყუებენ ხოლმე სოფლელებს ნიკიტინის ცირკში.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ დღეებში ვერაზედ ნახეს ვიღაც მოკლული კაცის გვამი. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, მოკლული ყოფილა ტფილისის მცხოვრები მარტიროს ნაზაროვი, ხელობით კალატოზი. ვერც მკვლელები და ვერც მიზეზი მკვლელობისა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

სახალხო თეატრი

შაბათს, 10 თებერვალს, დილის წარმოდგენამ აუარებელი ხალხი მიიზიდა სახალხო თეატრში. წარმოადგინეს კომედია: „ბიძიასთან გამოხუმრება“, რაფ. ერისთავისა და „მოულოდნელი საჩუქარი“, თარგმანი ა. ცაგარლისა. „ბიძიასთან გამოხუმრებაში“ თავ. იორამის როლს თამაშობდა ბ-ნი ი. ზურაბიშვილი და მშვენივრადაც დაგვისურათხატა იორამი, ეს ძველი დარბაისელი თავადიშვილი. ხმა, მიხვრა-მოხვრა, გარეგნობა, ყველაფერი ხელს უწყობდა ბ-ნს ზურაბიშვილს, რომ ეს როლი ბოლომდის ღირსეულად ჩაეტარებინა. მხოლოდ ცნობილი ლექსი: „დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა“—ცოტათი სუსტად წაიკითხა. მშვენივრად შეასრულა აგრეთვე ს. ციციშვილმა. ნატოს როლი. განსაკუთრებით კარგი იყო მაშინ, როცა სოფლის დედაკაცურად ჩაცმული ნატო წარუდგება და მოსწრებულის ანდაზებით სულ გადარევს იორამს. ჩინებულად შეასრულა ბ-ნმა გოცირიძემ სანდროსი და ანანიაშვილმა ხიჩჩლას როლი.

„მოულოდნელი საჩუქარი“ პატარა პიესაა. ამ პიესაში სულ სამი მომქმედი პირია, რომელთა ერთმანერთთან ლაპარაკი შეადგენს მხოლოდ პიესის შინაარს. ქ-ნმა ქუჩუკაშვილმა რაც შეიძლებოდა ლამაზად ჩაატარა მარგარიტას როლი. არა უშავდა-რა ბ-ნს ანანიაშვილსაც ჟანის (სტუდენტის) როლში. ბ-ნს ი. ბარათაშვილს ხმა და მიხვრა-მოხვრა ძალიან ხელს უწყობდა და ჰექტორ ვექილსაც კარგად წარმოგვიდგენდა, რომ როლი სცოდნოდა კარგად. წარმოდგენა ჩვეულებრივ ლეკურით გათავდა.

მ. გ.

ნუ-თუ მართლა მოგვდგამს?

(ერთი მანდილოსნის წერილის გამო)

ჩვენი აწინდელი სამწერლო ენის საქმე სწორედ ჭადრაკულად არის. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენის მამულის საუკეთესო შვილებმა მიუცილებელ საჭიროებად სცნეს ცხოველის საუბრის ენით წერა და არც დარბაისელმა ფილოსოფოსმა პლატონ იოსელიანმა უძრახა მდაბიური კილო ჩვენს პირველ დრამატურგს გ. ერისთავს, მაგრამ ეს მიუცილებლობა და საჭიროება ზოგიერთმა ჩვენმა მწერლებმა ახირებულად გაიგეს.

ვერ ვიტყვით, იმ მწერლებს ქვეყნის სამსახურის წმინდა განზრახვა არ ჰქონოდეთ, რა სამწერლო ასპარეზზედ გამოვიდნენ, მაგრამ წადილის საქმედ ქცევას რა უნდოდა, იმას არც უწინ დასდევდნენ და არც ეხლა დასდევენ.

ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც ვითომდა შევიგენით დრო-და-დრო მწერლობის საჭიროება და კიდეც გავიჩინეთ, დავიდევით რა იდეალად ევროპულის განათლების მიმართ მისწრაფება, მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, ის მისწრაფება უფროს ერთ შემთხვევაში ხენეში გამოდგა და მისი მოთავე ენა-დავარდნილობისაგან შეპყრობილი.

თუმც გასულის საუკუნის წინადაც გვყვანდნენ ზეგარდმო მონიჭებული მწერლები, რომელთაც მიაგნეს საერო ენის მართლ-წერა-ლაპარაკის საიდუმლოს და მრავალი ნიმუშიც გვიანდერძეს მისი, თუ ქართული რამდენად მდიდარი, ფაქიზი და ტკბილ საუბარია; თუმცა, ვიტყვით, გასულ საუკუნეშიაც გვებადნენ და ეხლაც გვაბადია სასიქადულო მწერლები, რომელნიც არა-ნაკლებ სახელოვან მოძღვრებს დაემოწაფნენ ქართულის ენის სიკეთის ალღოს აღებით, მაგრამ, სავალალოდ, როგორც მოძღვართ, ისე მოწაფეთა კალმის ნაჭირნახულევი მოიდნო და მოინელა უჯიშობით და სიტლანქით გალაღებულმა ენა - დავარდნილთა ღვარძლიანმა მწერლობამ, რომელიც დაჰბადა ჩვენში მავნებელმა უცხოეთის გავლენამ. ეს ღვარძლი, როგორც ცისიერი მანანა, გულ მოდგინედ მოირეწეს და უკუ-ჰყარეს ის მწერლები, რომელნიც ჩვენის ერის ძველის მწიგნობრობისა და საუბრის ენის წყაროს ეწაფებოდნენ და იქ ნაპოვნის წყობილ - მარგალიტებით სცდილობდნენ გონება და გრძნობა ევარჯიშებინათ ჩვენის ერის სულის ბრძმედში გატარებით. აწინდელს ჩვენს მწერლობას-კი ასულდგმულებს მხოლოდ ენა-დავარდნილობა, უცხო ენის ყალიბზედ სიტყვების მწარმოებელი და მთხზველი და ბარბაროსულად მოფიქრალი სიტყვაკაზმულის მწერლობის მიდამოშიაც-კი, როგორიც არის ამბავი, ლექსი და დრამა.

აი, რა განსაცდელი დაგვატეხა თავს წინაპართა ნაწერის უგულებელყოფამ და იმ გარემოებამაც, რომ დავარდნილმა მწერლებმა თავს იმედი დაუდვეს, უნდილის, უძლურის და წყალ-წყალა ენით მწიგნობრობას დაჰბადებდნენ. არც შემცდარან. დაჰბადეს, მაგრამ ცოდვით და საარაკო, რადგანაც არ მეგულება ქვეყანა, რომლის მწერლობასაც, რა გინდ იგი უკუღმართ და ხელის შემშლელ გარემოებათაგან იყოს დამოკიდებული, ისეთი დღე ადგეს, რაც დღე ჩვენსას ადგია, ქვეყანა, სადაც მწერალთ გონებასა და გრძნობას ასაზრდოებდეს მარტო ოდენ უცხო და ისიც არა სიკეთის მოქადე კულტურა, ხოლო მშობლიური არა თუ შესასწავლად, ხსენების ღირსადაც არ მიაჩნდეთ, ქვეყანა, სადაც მწერლები არა თუ მართებულად, არამედ უფროს ერთ შემთხვევაში ჩიქორთულადაც ვერა ჰლაპარაკობდნენ დედაენას, რომელიც გაუხდიათ ერის სამოძღვრებელ იარაღად. ამას შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ჩვენმა ერმა ჯერ კიდევ ვერ იცნო თავი და ვერ შეიგნო ვერც ის, თუ რა ჰვნებს მას, ვერც ის, თუ რა ჰრგებს, მაგრამ მისის მწერლობის შემყურე, მეტადრე მხოლოდ მათის ნაწერის დამჯერე და მათ წინაპართ მწერლობის დაუდევარი როგორ არ უნდა შეიპყროს სასოწარკვეთილებამ და მის გონებრივ აღორძინებისა და კვლავ გაშლის ეჭვი არ დაუბადოს. აკი მოუწერია კიდეც ბ-ნ კიტა აბაშიძისათვის ერთ ქართველ მანდილოსანს (იხ. ამა წლის „ცნ. ფ.“ № 1360), რომ აწინდელი ქართული მწერლობა ჭლექიანის მშობლების შვილია, ბნელსა და ნესტიან სარდაფში მცხოვრები, რომელსაც აუცილებელი სიკვდილი მოელის, მაგრამ ნელი, თუ სწრაფი, ის არის თავი-და თავი საკითხი. მაპატიოს პატივცემულმა მანდილოსანმა სიტყვის ჩამორთმევა და მე სრულიად ვერ დავიჯერებ, თუ არ ავის თვალით უკუმხედველი, რომ ამ ჭლექიანს შვილს მშობელიც ჭლექიანი ჰყავდეს. არა, მშობელი, პირიქით, ჯანსაღი ჰყავს, მაგრამ თვითონ დასნეულდა უცხო და მავნებელ გავლენათაგან აკლებულ-აოხრებული, რომელიც მის მაგიერ, რომ შეგვეტკბო და პატრონობა გაგვეწია, ჩვენ თითონ დავწიხლეთ, ყოფა უარესად გავუმწარეთ და, ასე იფიქრეთ, არა თუ პატივი არ დავდევით, სახლიდგანაც განვაძევეთ. დიაღ, ამ საცოდავს სიკვდილი მოუღებს ბოლოს და ისიც ახლო ხანში, რადგანაც ჭლექს იგი მეტის-მეტად დაუგდია და გადაქცევია ზღმურდლად, რომელიც, საგრძნობელ და სამშვინველ ნაწილებს გარდა, ენასაც მოსდებია, ასე რომ ქართული ახალი მწერლობა, ბოდიშს ვიხდი სასოწარკვეთილ მანდილოსანთან, ქვიშნარი კი არ არის, სადაც იმას აქა-იქ კორდებიც შეუმჩნევია, არამედ ჭია-ღუითა და მწერ-მღილით აღსავსე შხამიანი ჭენჭეხი, რომლის მხოლოდ დაშორი-შორებულ კუნძულებს მარჯვედ აცხუნებს მადლიანი მზე, ცხოველ-მყოფელის სითბოს მიმნიჭებელი და ცივ ბნელ-წყვდიადის დამთრგუნველი.

ასეთია დღეს ჩვენი აწინდელის მწერლობის ბედი ენა-დავარდნილ მწერალთა ხელში და მუდამ იგი სიკვდილის პირად ეგდება, ვიდრე იმ ჭენჭეხში ამონაწებ კალამს იხმარებს ერის სამოძღვრებლად. ხოლო თუ უნდა სულთამხუთავ სიკვდილს გადურჩეს, ის ჭენჭეხი უნდა უარ-ჰყოს და დაემკვიდროს მის მადლობ კუნძულებზედ, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა და სულისა და გულის საშვებელი, ხოლო მზე უხვად მფრქვეველი ნათლისა. ჭენჭეხი ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა გახლავს, ცოდვის ნაყოფი, ჩვენის გადაგვარების შეუგნებლად მოსწრაფე ივერიზმების უარყოფითა, ხოლო მზის სხივოსანი კუნძულები ჩვენის ერის ენატკბილი ამბავ-შაირია, იმავ საუკუნის მადლიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, რიცხვით მცირედი მწერლები, თავხსნიერნი ძენი მათ უწინარეს საუკუნეთა მწერლობისა და თვითონ ეს მწერლობაც, რომელიც ისე კეთილ-ნამოქმედარია და ნაგრძნობ-ნაფიქრის მკაფიოდ გამომხატველი, ხოლო თვისთაგან გმობილი და შეჩვენებული. იმათი წმინდა ვალია თავიანთ გრძნობა-გონების საფუძვლად დაიდონ ზემორე ჩამოთვლილი მადლიანი მწერლობა, ხოლო იფქლი მოირეწონ ევროპელ მეცნიერთაგან. მაშინ გაეცლება ზღმურდლი მათ გულსა და ენას, ჯან-ღონეზედ მაშინ მოვლენ და მაღლე მხარშიაც ამოუდგებიან ევროპელ მოძმე კალმის კაცებსა და მათებრ ხელ მარჯვედ სცემენ ჩოგანსა საწვრთელად ქართველთ გრძნობა-გონებისა და წარსამატებლად მათის კულტურისა, რომელიც იფქლსავით მოვა, აღორძინდება.

პეტრე მირიანაშვილი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ღები, რაჭის მაზრა. დღეობები წელსაც ჩვეულებრივ ხონჩა-გაშლილ ტკბილეულობითა, სანთელ განატეხით, ახალ ნახალ ზედაშეებით, მსუქანის ნებიერის ხაშლამა-მწვადებითა და ქადა-ხაჭაპურებით მივეგებეთ ახალს წელსა. ბევრი რამ შევთხოვეთ, ბევრი რამ დავავალეთ ღებელებმა ახალს წელსა, მაგრამ ყველაზე უფრო მოწიწებით აი, რა შევჩივლეთ: დიდებულო და მადლიანო ახალო წელო, დიდება შენსა მობრძანებასა! გადაავლე შენა მოწყალე თვალი სცოდავს ღებელებსა, რომელნიც ტყის ნადირებივით შემოგვხიზნებიხართ ამ მიყარდნილს, მიყრუებულს, ყველასაგან მოძულებულსა და კავკასიონის მაღალ წვეროვანის მთებით შემოკალაგნებულ დრიანკელსა! ვცხოვრობთ ერთად-ერთის ტყითა და ბალახითა, მაგრამ, ვაი ამისთანა ცხოვრებას! მეტყევე ტყაჩოებმა (лѣсничій и объѣздчики) ლამის აგვიკლეს, ლამის გაგვანადგურეს და მიწასთან გაგვასწორეს თავისის უდიერის მოქმედებითა. ახალო წელო! გევაჯებით გვიხსნა მათის ხელისაგან და მოჰსპე ჩვენს შორის მათი სახსენებელი. მაგრამ „უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“, რომ იტყვიან, ჩვენც ისე დაგვემართა. ნაცვლად მოსალოდნელის შვება-ლხენისა, ახალმა წელმა მოსვლისთანავე აი, რა შემოგვხვდა შავი ყორანივით:

მამიჩემისა შვილი ვარ,
მემკვიდრე ძველის წლისაო,
ძმობილი ტყაჩოებისა,
ღვიძლი ძმა მეტყევისაო,
ვერ ვუღალატებ ძმობილებს,
მე ვერ შევირცხვენ პირსაო,
მამის ანდერძს ავასრულებ,
ჩემგან ელოდეთ ჭირსაო:
მოგივლენთ სურდო ხველასა,
გაქუშ-გაკვნესებთ ბევრსაო,
ზოგს მოვკლავ, ზოგსა დავარჩენ,
ზოგს გავულაყებ ტვინსაო!..

ამ ჟამად ს. ღებში მართლაც სასტიკა სურდო-ხველა მძვინვარებს. არ არის მოსახლე, რომ სამი ან ოთხი ავადმყოფი არ უწევს და სალოდავად არ აქუმენებდეს. არც თუ ამისთანა უთოვლო ზამთარს მოვსწრებივართ. სხვა დროს რომ აქ საჟენის სიმაღლე თოვლი დაუდვია, წელს არც ნახევარი არშინის სიმაღლე მოსულა. უთოვლობამ მცხოვრებლები მეტის მეტად დაადონა, რადგანაც აქ უამისოდ შეშა თავის მოტანა ყოვლად შეუძლებელია. როგორც იყო ამ ერთის კვირის წინედ ვეღირსეთ სამარხილე თოვლს, მაგრამ ჩვენებურმა ტყაჩოებმა არც მაშინ დაგვანებეს შეშის ზიდვა და ლამის დედა-წულიანად ამოგვწყვიტეს სიცივითა. სწორედ დიდი უბედურება და ცოდვის კითხვაა, რომ საწყალს გლეხს ნასყიდი, ტყიდგან გამოტანილი და დასაყნილი შეშა ეკრძალებოდეს შინ მოსატანად და ისიც ზამთარში:

თუ ასე ჰქმნეს, თქვენი მტერი,
ამოვწყდებით სიცივითა;
გვეჯებით, დაგვიხსენით,
გლოცავთ იესოს პირითა!

ჩვენი აწინდელი სოფლის მამასახლისი გვარიანი თვალ-გამოხედილი და თავისს საქმის მცოდნე კაცი გამოდგა. მთელს სოფელს ისე უყვარს, რომ ყველა მისს მზეს იფიცავს. ხალხი მით უფრო მადლიერია მამასახლისისა, რომ ასვლისათანავე ტახტსა ზედა მამასახლისობისასა, აუტეხა ტყაჩოებს, იძიებს და იკვლევს ყოველს მათს ნაუკუღმართევს საქმეს და გზავნის ცნობებს, სადაც ჯერ არს. ამ ამბითა და გარემოებით შეძრწუნებული ტყაჩოები სისხლიანის თვალით შეჰბღვერიან მამასახლისს შემდეგის მუქარითა:

„ვაჰა, რა გიყოთ, სტარშინავ,
რა სიცხე დაგაყენოთო;
წამ-უწუმ პრატოკოლები
შეგიდგინ-შეგიყენოთო,
ისე გაქცალოთ ფულიდგან,
თვალები დაგიყენოთო!“..

მაგრამ მამასახლისს არ ეშინის და არხეინად უპასუხებს:

„წრუწუნია თაგვებო,
ძვალ ხორცისა მხრავებო,
ვის უბედავთ მუქარას,
კატის დასახრავებო?
ხომ გაიგეთ, მოკისპეთ
ნავარდობა სახლებში,
აწ მიყურეთ, რა გიყოთ,
დაგამწყვდევთ სათაგვეში.

რივნის თაველი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Frankt. Ztng.“-ის სამხრეთ-აფრიკელს კორესპონდენტს მოჰყავს შინაარსი იმ სიტყვისა, რომელიც გენერალს ქრისტეანე დევეტს ნოემბრის დამდეგს წარმოუთქვამს კლერკსდორპში; აი, შინაარსი:

„მართალია საჭიროა, რომ ადამიანს მოყვასი თვისი უყვარდეს, მაგრამ ინგლისელების სიძულვილი და მტრობა არა ნაკლებ საჭირო და სამართლიანია. სხვისა არ ვიცი, და მე-კი მუდამ იმას ვასწავლი ჩემს შვილებს, რომ ინგლისელები შეიძულონ, უთქვამს დევეტს. ამბობენ, რომ დედამიწის ზურგზედ კარგი და კეთილი ინგლისელებიც არიანო, მაგრამ მე ვერსად შევხვდი ასეთს

ხალხს; ალბად იმიტომ, რომ რაც გმთილი ხალხი ყოფილა ინგლისში, სულ დახოცილა. ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ გათავდება. რაც უნდა სასტიკად მოასთხრონ ინგლისელებმა ეს ჩვენი მხარე, იგი მაინც აჰყვავდება, კვლავ გაიშლება; ფულის პატრონები წამსვე გაანაყოფიერებენ, სულს ჩაუდგამენ. დედამიწის ყველა კუთხიდგან შემოიკრიბებიან იგინი, როგორც დორები საჭმლის სუნის ადებაზედ, რომ ჩვენს ოქროს გამოჩხნენ რასმეს. ერთხელ სწორედ 26,000 კაცით მდევნიდნენ ინგლისელი გენერლები, მაშინ როცა მე მხოლოდ 2,000 კაცი მყავდა, მაგრამ ვერრა დამაკლეს, ხელიდგან წაუველი, მოვატყუე. შემდეგშიაც ასრევე იქნება, ცოცხალს იგინი ვერ დამიჭერენ. და თუნდაც მოვკვდე, საქმეს ჩვენს ხალხს ეს ვერ ჩაუშლის, რადგანაც მაგიერი კაცი ჯარის წინამძღოლად, ჩემებრ ომში გამოწვრთნილი, უკვე მზადა მყავსო". აფრიკანდერების შესახებ კიდევ ის აზრი გამოსთქვა, რომ მათ ნეიტრალიტეტობა არ შეუძლიანთ, ან ჩვენს მხარეს უნდა იყვნენ, ან-და ინგლისელების მხარესაო.

— „Morning Leader"-ში შემდეგი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ერთის ინგლისელ თავისუფალ მეომრისა: „ოთხის ბოლო თვის განმავლობაში ტანზედ პერანგი არა მცმია; ფეხთ მხოლოდ ტუფლები მეცვა. თუ რომ როგორმე 10 შილინგათ ერთი რადაც შალის კურტკა არ მეყიდნა, სრულიად შიშველი ვიქნებოდი. ბულუვაიოში მივედით, და ტანისამოსი მაინც არსაიდგან მიჩანდა. სრული 5 თვე სრულდებოდა, რაც ჯამაგირი არ მიმღია, არ ვიცოდი ტანისამოსი როგორ მეყიდნა. ოთხჯერ მივედი საინტენდანტოში და ვთხოვე, რომ პერანგის შემდეგი მოეცათ, მაგრამ არა მიშველა-რა და სულ იმას მეუბნებოდნენ: „ხვალ მოდიო", თუმცა საწყობში ტანისამოსი ბლომად იყოო".

— კაპშტადტში მყოფი ახალშენის ფერადი მცხოვრებნი შავის ჭირის გავრცელებას დიდად შეუშინებია. 3 თებერვალს ბევრი ამათგანი ნავებით ნაპირას მდგომ საფოსტო გემში ასულა და უკან ჩამოსვლა აღარ სდომებიათ, უთქვამთ —სამშობლოში უნდა დავბრუნდეთო. გემი იძულებული იყო ადგილიდგან აღარ დაძრულიყო და ურჩნი მცხოვრებნი ახალშენის პოლიციელთა დახმარებით ძლივს-ძლივობით გადმოსხესო. შემდეგ იქვე, ზღვის პირად, ადგილობრივ მცხოვრებთ თავი მოიყარეს და 5,000 მუშის წარმომადგენლად 6 დელეგატი ამოირჩიეს, მოილაპარაკეს ამ თავისს გაჭირვების შესახება და ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებთან გაჰგზავნეს. დელეგატებმა გამოუცხადეს, რომ, შავის ჭირის გავრცელებისა გამო, ადგილობრივნი მცხოვრებნი ქალაქში მუშაობაზედ ხელს იღებენ და თავისს სამშობლო ადგილებში მიდიან.

— პრეზიდენტ კრიუგერს შემდეგი ფრიად საყურადღებო ლაპარაკი ჰქონია „Pall Mall Magazine"-ის ერთ თანამშრომელთან. მოხუც პრეზიდენტს ტრანსვაალისას უთქვამს: „მაშ, თქვენ ამბობთ, რომ არავინ დაგვეხმარება? მფარველობას არავინ გაგვიწევს? რასაკვირველია, ჩვენც ცუდათ მოვიქეცით, ნაკლი და სუსტი მხარე ჩვენცა გვაქვს; ომი ჩვენ გამოვუცხადეთ, მაგრამ გვაიძულეს, მეტი გზა აღარა გვქონდა. ამისი დამტკიცება, თუ საჭირო იქნება, ძნელი არ არის, ოღონდ საშუალება მოგვეცეს, რომ ჩვენი და ინგლისელების საქმე ვინმემ გაასამართლოს. მაგრამ ასე იქნება, თუ ისე, ღმერთია ჩვენი მშველელი, ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ. ინგლისს უნდა ყველაფერი ხელთ იგდოს, ყველა წაგვტაცა, მაგრამ თავისუფლებას ჩვენსას იგი ვერ შეეხება, ვერ გამოგვწირავსო".

გარდა ამისა კრიუგერს უთქვამს, რომ იგი ევროპის გულ ცივობით უკმაყოფილოა.

„მე არ შემეძლო, შტეინისავით, ჯარს გავძღოლოდი, რადგანაც მოხუცებულება ამის ნებას აღარ მაძლევდა, მკლავში, მუხლში ღონე აღარ მაქვს, მაგრამ მეგონა აქ-კი სასარგებლო ვიქნებოდიო".

როდესაც ქ-ნი კრიუგერი უხსენებია თანამშრომელს, კრიუგერი აღელვებულა და უთქვამს: „ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები, ამას რომ მოვიგონებ, მაგრამ უფრო მეტად ჩემის ქვეყნისათვის ვიტანჯები. იგი ჩემს ცოლზედ ბევრად უბედურია. იმას შვილები მაინც თავისთანა ჰყავს. ორი შვილი უკვე მოუკლეს; ბრძოლის ველზედ დალიეს სული; ორი ტყვეთ არის კუნძულს ცეილონზედ. მაგრამ, ვგონებ, ახლა ისინიც დახოცილები იქნებიან, რადგანაც აგერ ორი თვე სრულდება იმათი აღარა ვიცი-რა. დანარჩენი ჩემი შვილები და შვილის შვილები (სულ 31 კაცი) მტერს ებრძვიან, მაგრამ, ვაი, რომ მათთან ყოფნა არ შემიძლიან. აგერ მეთექვსმეტე დღეა, რაც ჩემის ცოლის შესახებაც აღარა ვიცი-რა. მაგრამ ჩვენ ორში მაინც მეტის საბრალოის ღირსი მე ვარ: იგი სამშობლოსთანა და თავისს შვილებთან მაინც ახლოა".

◆

სასამართლოს მატიანე

ბესარიონ კვარაცხელიას საქმე.

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის, სოფელ წალენჯიხის მცხოვრების ბესარიონ გვიჩიას ძის კვარაცხელიასი, რომელსაც შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ედებოდა ბრალად: კვარაცხელიას უსიამოვნება ჰქონია მეზობელ ალექსი ჭედიასთან, როგორც საქმიდგან სჩანს, იმის გამო, რომ ვითომ ჭედია ჰყვარობდა კვარაცხელიას ცოლს. ამაზედ გადამტერებულნი ჭედია და კვარაცხელია შეხვედრიან ერთმანეთს 16 მარტს 1899 წელს და მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც კვარაცხელიას ჭედია თოფით მოუკლავს. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია კვარაცხელია და გარდაუწყვეტია ყოველისავე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 8 წლით კატორგაში გაგზავნა. კვარაცხელიას საქმე გადმოუტანია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც დამნაშავედ იცნო კვარაცხელია და კატორგის ნაცვლად გარდაუწყვიტა სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

—

პავლე იორდანეს ძის კაპანაძის საქმე.

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის სოფელ კორბოულის მცხოვრების პავლე იორდანეს ძის კაპანაძისა, რომელსაც შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდა. კაპანაძეს რაღაც უკმაყოფილობა ჰქონია თავისავე სოფლის მცხოვრებ ფრიდონ კაპანაძესთან და, განუზრახავს რა მისი მოკვლა, 1898 წლის 7 ნოემბერს აუტეხია ჩხუბი ფრიდონთან, რომლის დროსაც უსროლია რევოლვერი, მაგრამ შემთხვევით ტყვია ასცდენია მას და დაჭრილა მისი ცოლი სოფიო კაპანაძისა. ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს პავლე კაპანაძეს თავი დამნაშავედ უცვნია. ოლქის სასამართლოს კაპანაძისათვის გარდაუწყვეტია ერთის წლითა და 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. კაპანაძეს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 8 თებერვალს, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო კაპანაძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

—

ი. გ. ჯინჭარაძეს საქმე.

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ოზურგეთის მაზრის სოფელ ერკეთის მცხოვრებს გლეხს ილიკო გიორგის ძე ჯინჭარაძეს გარდაწყვეტილი ჰქონდა $2^1/_2$ წლით საპყრობილეში დაპატიმრება იმ დანაშაულობისა გამო, რომ მან 1898 წლის 1 ივლისს დასჭრა მძიმედ თავისი მეზობელი ილარიონ ჯინჭარაძე ნაჯახითა და დანით. ამ ჭრილობით დაუშავდა ჯინჭარაძეს ორავე ხელები.

—

ს. გ. ფხაკაძის საქმე.

ქუთაისის მაზრის სოფ. მაღლაკის მცხოვრებნი სპირიდონ გიორგის ძე ფხაკაძე და თავ. თეოდორე ნიჟარაძე წაჩხუბებულან, რომლის დროსაც ფხაკაძეს დაურტყამს ნიჟარაძისათვის თავში ხანჯალი და დაუჭრია; ამ ჭრილობისაგან ნიჟარაძე მეორე დღესვე გარდაცვლილა. ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა ხუთშაბათს, 8 თებერვალს, დაამტკიცა ამ საქმის შესახებ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გამართლებულ იქმნა ფხაკაძე.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ნეაპოლში დუელი ჰქონია ორ ახალგაზრდა ქალს: 14 წლის ფილომენა პროვოჩელლისა და 16 წლის ანჯიოლინა სფერრას. ორივე ერთ სახელოსნოში მსახურებდნენ: ორივეს ერთი სტუდენტი შეჰყვარებიათ და ამის გამო საშინლად გადაჰკიდებიან ერთმანეთს. რადგანაც არც ერთი არა ჰფიქრობდა სტუდენტზედ ხელის აღებას, ამიტომ გადაუწყვეტიათ საქმის დუელით გათავება. იარაღად ხანჯლები აურჩევიათ. სეკუნდანტებად ამხანაგივე ქალები ყოფილან. როდესაც დანიშნულ ადგილს მისულან, როგორც ქორები, ისე დასტაკებიან ერთმანეთს. რამდენისამე წუთის შემდეგ გულში დაჭრილი და ძალზედ დასისხლიანებული ანჯიოლინა სფერრა უგრძნობლად დაცემულა მიწაზედ. პროვოჩელლიც დაჭრილა ორს ადგილას: თავსა და ხელში. დამარცხებული სიკვდილის პირს არის თურმე მიმდგარი,—გამარჯვებული-კი სრულიად განკურნებულა საავადმყოფოში.

* * *

ამერიკული გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ ამას წინად გარდაცვალებულ მილიონერის არმურის შესახებ. არმური კონსერვებს ამზადებდა და მთელს დედამიწაზედ იყო ცნობილი. ყოველ წელიწადს ეს კაცი 325 მილიონ ფრანკის ნაწარმოებსა ჰგზავნიდა სხვა-და-სხვა მხარეს. მემკვიდრეებს 250 მილიონი ფრანკი დაუტოვა არმურმა. არმური გლეხის შვილი იყო. სწავლა საშუალო სასწავლებელში დაამთავრა. 18 წლისა იყო იგი, როდესაც შრომას შეუდგა. პირველად რამდენსამე ამხანაგთან ერთად ოქროს ძებნას შეუდგა. გადაიკიდა პატარა ტოპრაკი ზურგზედ და გაემართა ბედის საძებნელად. მთელი ამერიკა მოვლო არმურმა, მაგრამ ბედმა ამ საქმეში ამინც არ გაუღიმა. 23 წლისა დაბრუნდა შინ და მხოლოდ ოქროს ორი პატარა ზოდი მოიტანა თან. შინ დაბრუნებისას არმური სასოფლო მეურნეობას შეუდგა და კონსერვების მზადებას მიჰყო ხელი. 1866 წელს ჩიკაგოში გადავიდა და მალე საქმე ისე კარგად წაიყვანა, რომ თავისის კონსერვებით დიდძალი ფული შეიძინა. თუ რა ზომამდე გაიზარდა არმურის სავაჭრო სახლი, შემდეგის ციფირებიდგანა სჩანს. ყოველ წელიწადს ამ სახლს კონსერვების დასამზადებლად სჭირდება 806,000 ხარი და 18,000 ღორი, სხვა საქონელი რომ არ ვიანგარიშოთ. ერთის ნიუ-იორკელის მათემატიკოსის გამოანგარიშებით, ის საქონელი, რაც 1892 წლიდგან არმურის სავაჭრო სახლში დაჰკლეს, მწკრივად რომ დაეყენებინათ, დაიჭერდა მთელის ამერიკის მატერიკს ატლანტიის ოკეანედგან დიდ ოკეანემდე. არმურის სავაჭრო სახლში 23 ათასი კაცი მსახურებსო, რომელთაც წელიწადში 50 მილიონი ფრანკი ეძლევათ. მეტად მხნე კაცი ყოფილა არმური: თითქმის დღე-ღამე დაუცხრომლად შრომობდა. არმურს დიდძალი მამულები დარჩა, ელევატორები, გემები, რკინის გზები. მილიონერი 68 წლისა გარდაიცვალა.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 თებერვალი

ხარკოვი. ხორბლით ვაჭრობა კარგად მიდის. გაზაფხულს კარგი პირი უჩანს.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი 4½%-დგან 4%-მდე დასწია.

პეკინი. ჩინეთის სამეფო ოჯახმა გარდასწყვიტა ელჩების მიერ დასახელებული დამნაშავე წარჩინებულნი დასაჯოს, მხოლოდ ჩჟაო-ჩჟუჩჟაოსა და იუნიენის შესახებ სამეფო ოჯახი თხოულობს, რომ თავები არ მოჰკვეთონ, არამედ დაახრჩონ. ელჩებმა ეს თხოვნა შეიწყნარეს. ამ რიგად საკითხი გარდაწყდა და ეხლა ექსპედიციის გაგზავნა საჭირო აღარ არის.

პეკინი. ჩინეთის იმპერატორმა მხოლოდ დღეს დაამტკიცა სახელმწიფოთა ელჩების მიერ შედგენილი სია იმ პირთა, რომელნიც დასჯილნი უნდა იქმნენ. იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ფორმალურად აღნიშნული იქნება იმპერატორის თანხმობა წარჩინებულთა დაუყოვნებლივ დასჯის შესახებ, ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

9 თებერვალი

კონსტანტინეპოლი. რკინის გზების მატარებელთა მიმოსვლა, რომელიც დიდის თოვლისა გამო შეწყდა, ისევ დაიწყო.

ინგლისის ელჩმაც გააფრთხილა ოსმალეთის მთავრობა მაკედონიის საქმეებისა გამო და ურჩია —სასტიკად მოეპყრას დამნაშავეთ, რადგანაც მისი მოვალეობაა უდანაშაულო მცხოვრებთა დასაცველად ყოველივე საშუალება იღონოს.

ვენა. როგორც იტყობინებიან, სერბიის ბევრს ქალაქში ხელის მოწერა გაუმართავთ, რომ მილანისთვის ძეგლის დასადგმელად ფული მოგროვდეს; ნიშში უკვე 10,000 დინარი შეუკრებიათ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. დილლონის კითხვაზე კრანდორმა სთქვა, რომ პეკინში მყოფს ინგლისის ელჩს არაფერი შეუტყობინებია მთავრობისათვის იმის შესახებ, ვითომც უცხოელთა ელჩებს თანხმობა გამოეცხადებინოთ, რომ ზოგიერთს დამნაშავე წარჩინებულს ნება მიეცეს თავი თითონ მოიკლას.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ინდოეთის სტატ-სეკრეტარმა გამილტონმა განაცხადა, რომ მთავრობამ გრაფის ვალდერზეეს მიერ გამოცემული ბრძანება მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ, რადგანაც ჩინეთთან მოლაპარაკების საქმე სასურველად ვერ მიდის, საჭიროა კვლავ გაიგზავნოს ექსპედიციები შუაგულ ჩინეთისაკენაო. მთავრობამ მოითხოვა მაშინ—შეატყობინონ რა აზრი ექნება ექსპედიციებს, და როდესაც ამაზე მიიღებს პასუხს, მხოლოდ მაშინ გაუგზავნის გენ. გეზლის შესაფერს ბრძანებას. ჯემს ლოტერი ეკითხება მთავრობას: მიღებულია თუ არა ზომები, რომ ინგლისის ჯარი ადგილიდგან არ დაიძრას, სანამდის ხსენებული პასუხი არ მოვაო! გამილტონმა უპასუხა, რომ ჩინეთის ზოგიერთს ადგილებში უწესოება არ მოსპობილა, ჯერ ისევ სამხედრო წეს-რიგი ჰსუფევს და ამის გამო ლოტერის კითხვა უადგილოაო.

ნიუ-იორკი. ფინანსიურს წრეებში უსაფუძვლოდ მიაჩნიათ ის ხმა, ვითომც ჩინეთს ამერიკაში უნდოდეს სესხის მოთავსება; ეს იქიდგანაც მტკიცდება, რომ ბოლოს დროს ფოლადის ყველა საწარმოებელი საზოგადოებანი შეერთდნენ და რადგანაც შეერთებულს საქმეს დიდი ფული დასჭირდა, ნიუ-იორკის ბანკებს მცირე თანხა დარჩათ; ასე რომ მათ არ შეუძლიათ სესხის გაცემა არც ეხლა, არც ახლო მომავალში.

სტანდერტონი. ბოტას ჯარიდგან გამოქცეული ამბობს, ვითომც ბოტას გამოეცხადებინოს თავისს ხალხისათვის, რომ იარაღი არ უნდა დაჰყარონ. როდესაც ბიურგერებმა უპასუხეს, რომ მათ ბრძოლა აღარ შეუძლიანთ, რადგანაც ინგლისელებმა საქონელი წაართვეს და სურსათიც თითქმის მთლად გამოლეული აქვთ, ბოტამ უპასუხა: „საშუალებას ბრძოლისათვის ღმერთი მოგვცემთო".

კაპშტადტი. დევეტი დეაარის ჩრდილოეთით მდებარე რკინის გზას გადავიდა და დასავლეთისაკენ იბრუნა პირი, მაგრამ პლუმერმა აიძულა იგი ჩრდილოეთისაკენ წასულიყო სტრაიდენბურგის მხარეზე. 6 თებერვალს დევეტი მდ. ორანჟეს მახლობლად იმყოფებოდა; როგორც სჩანს, მისი ჯარი რამდენსამე რაზმად მიემართება გრიკუალენდვესტისაკენ. პლუმერი მათ მისდევს. ჰერცოგის რაზმმა, რომელიც კაპის ახალშენს შეესია დასავლეთიდგან, უკანვე დაიხია იმავე გზით.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება კლერკსდორპიდგან: „მთელის ოლქის დაზვერის შემდეგ მეტუენის რაზმი აქ მოვიდა; ტვენსფონტეინთან იგი 1,400 ბურს წააწყდა, რომელსაც დევილი და ლივენბურგი უფროსობდნენ. ბურებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქმნენ. ინგლისელების ზარალი: 3 ოფიცერი და 13 ჯარისკაცი მოკლულია, დაჭრილი—5 ოფიცერი და 29 ჯარის-კაცი. ბურების ზარალიც დიდია; ამათ 18 მოკლული დასტოვეს".

კაპშტადტი. თეთრი ტომის წარმომადგენელთა შორის ორი შემთხვევა შავის ჭირით ავადმყოფობისა კიდევ აღმოჩენილა.

იოჰანესბურგი. ღამით ბურებმა კლიგრივერთან რკინის გზის ხიდი

დაანგრიეს. მატარებლის მსახურნი და მთელი სურსათი ისე ჩაიგდეს ხელთ, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. გაძარცვული მატარებელი დასწვეს და შემდეგ წავიდნენ.

სოფია. სოფიის მსროლელ საზოგადოების 2200 წევრმა გაზეთების საშუალებით გამოაცხადა პროტესტი ხსენებულ საზოგადოების გაუქმების გამო, რომელიც მოხდა, როგორც ისმის, მხოლოდ ზოგიერთ დიპლომატიის წარმომადგენელის გავლენით. ამ პროტესტში ხალხს იწვევენ სახელმწიფო ინტერესებისათვის საბრძოლველად, რომელთაც საფრთხე მოელის.

ტამბოვი. ამ დღეებში აქ მთელი ოჯახი მოიწამლა დოშით: დედა და სამი ბავშვი საშინელ ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალნენ; ორი მამაკაცი გადარჩა.

პეკინი. პრინც ცინსა და ლიხუ-ჩანგს მოუვიდათ დეპეშით სასახლისაგან მოწერილობა — შეატყობინონ ელჩებს, რომ გამოქვეყნებულია ბრძანება კარის კაცთა დასჯის შესახებაო. სახელმწიფოების მოთხოვნილების თანახმად, ტუნფუსიანს ახდიან ღირსებას; პრინცი ტუანი და ჰერცოგი ლანი გაიგზავნებიან დასასჯელად; პრინცმა ჩუანმა, იუნგსიენმა და ჯაო-ჯო-ჯიაომ თავი უნდა მოიკლან, ხოლო ხსიუჯენ-იენსა და ჯისინს თავს მოჰკვეთენ.

პეკინი. გრაფმა ვალდერზეემ გადასდო ექსპედიცია მას შემდეგ, რაც ჩინეთის მთავრობა თანახმა გახდა ელჩების მოთხოვნისა კარის კაცთა დასჯის შესახებ.

ლონდონი. „Times“-ს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, რომ პოლკოვნიკ შერნბრუკერს მიუმართავს საზღვარზე მცხოვრებ გერმანელებისათვის, რათა ისინი შეუერთდნენ ჯარებს ახალშენის დასაცველად. ამის შემდეგ გერმანიის უმთავრესმა ელჩმა გამოსცა განცხადება, რომელშიაც ურჩევს ყველა გერმანელ ქვეშევრდომს დაიცვას სასტიკი ნეიტრალიტეტი. შერნბრუკერის პროკლამაცია მიმართული იყო გერმანელებისადმი, მაგრამ, როგორც ისმის, იგი ეხებოდა მხოლოდ იმ გერმანელებს, რომელნიც ინგლისის ქვეშევრდომნი არიან. საზღვარზე გერმანიის ქვეშევრდომთა რიცხვი მცირეა.

10 თებერვალი.

ბერლინი. „Nordd. Zeit“-ი სწერს, რომ ინგლისის მეფეს აზრადა აქვს ამ დღეებში წავიდეს გერმანიაში. ყველამ კარგად უწყის, რომ მეფე ავადმყოფის დის სანახავად მიდის; თუმცა ამ მგზავრობას ასეთი ხასიათი აქვს, მაგრამ ზოგიერთი გერმანული გაზეთი მაინც სცდილობს პოლიტიკური მნიშვნელობა მიაწეროს, რათა ამით საბუთი ჰქონდეთ შეურაცხჰყონ თვით გერმანიის იმპერატორი.

კაპშტადტი. ოფიციალური ცნობა. ერთის კვირის განმავლობაში ავად შავის ჭირით 20 კაცი გახდა. ამათგან ერთი ევროპიელია და 19 ადგილობრივი მკვიდრი; სამი გარდაიცვალა. ამას გარდა ექიმების მხედველობის ქვეშ 104 ადგილობრივი მცხოვრები იმყოფებოდა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ვილიამ რედმონდმა ჰკითხა მთავრობას, გერმანიის იმპერატორი ხომ არ დაჰპირებია ინგლისის მთავრობას შუამავლობის გაწევას ბურების ომის გასათავებლადაო? კრანბორნმა მიუგო, რომ არაო. შემდეგ რედმონდმა სთქვა, საჭიროდ სთვლის თუ არა მთავრობა სთხოვოს იმპერატორს შუაკაცობა. სპიკერმა სთხოვა რედმონდს წესიერად მოიქცეიო. რედმონდის კითხვა უპასუხოდ დარჩა.

პარიჟი. სენატმა ერთხმად დაამტკიცა სამხედრო ნავთ-სადგურების შეიარაღებისა და საოპერაციო ბაზისების დაჭერის პროექტები.

სან-ფრანცისკო. ნიუ-იორკის საზოგადოების „პაციფიკ მაილ სტიმერის“ გემი „სიტი რიო-ჟანეირო“, სან-ფრანცისკოს ნავთ-სადგურში ბრაგას დაეჯახა და ჩასძირა. გემზე დიდი არეულობა მოხდა. ნავები ჩაუშვეს, მაგრამ ბევრნი წყალში ცვივოდნენ. რამდენი კაცი დაიღუპა, არ იციან, რადგანაც დამხრჩვალთა შორის ხაზინადარიც არის, რომელსაც მგზავრების სია ჰქონდა. ამბობენ, გემზე 29 მგზავრი იყოო პირველ კლასისა, მათგან 7 ევროპიელი; 150 პალუბის მგზავრი — იაპონელი და ჩინელი — და 140 ზღვაოსანი.

ლონდონი. ვიკს ბიჩმა განაცხადა, რომ დღემდე სამხრეთ აფრიკის ომზე დაიხარჯა 81,500,000 გირვანქა სტერლინგი; ყოველ კვირა იხარჯება 1,250,000 გირვ. სტერლინგიო. ბროდრიკმა სთქვა, რომ როგორც ამ ხანებში მოხდენილ ანგარიშებიდგანა სჩანს, ბურებს 20,000 მებრძოლი-ღა ჰყავთო. იანვარში 16,000 კაცი იქმნა დატყვევებული, ბოლოს დროს ამ რიცხვს კიდევ მოემატაო.

ლონდონი. დეაარიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ორანჟეს მდინარემ, რომელიც ამ ბოლო ხანებში აღელვებული მოდიოდა, იკლო და ამან შეძლება მისცა კაპის ახალშენში შესეულ ბურებს მდინარეზე გადასულიყვნენ და ორანჟეს რესპუბლიკაში დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ნოქსი და ინგლისის სხვა სარდლები დევეტს მაინც სდევნიან. დევეტი სცდილობს პრისკისაკენ დაიწიოს.

პეკინი. პეკინის აღმოსავლეთით, სადაც იაპონელნი არიან, ავაზაკობა ძლიერდება. ვალდერზეემ დაავალა იაპონელებს, მოსპონ ავაზაკობა. გუშინ იქ იაპონელთა რაზმი წავიდა.

ვაშინგტონი. გეჯის თხოვნით გარეშე საქმეთა სამინისტროში შეუდგნენ რუსეთის მიმართ გასაგზავნ ნოტის შედგენას. ნოტაში ნათქვამია, რომ შაქარზე მხოლოდ დროებით დაიდო ბაჟი და თხოვნაა გამოთქმული, რომ რუსეთმა უარი სთქვას შემავიწროებელ სადამოჟნო გადასახადებზე იმ დრომდე, სანამ კანონი გარჩეულ იქმნება სასამართლო უწყებისაგან.

11 თებერვალი

პეტერბურგი. „ფინანსთა მოამბე“ განმარტებს, რომ რუსეთიდგან გატანილს შაქარს არც ცხადი პრემია ეძლევა და არც ფარულიო. იმ განცხადებას, რომ ვითომ შაქარს პრემია ეძლევა რუს-მომხმარებელის ჯიბიდგან, უარ-ჰყოფს შაქრის მაზანდა და რუსეთში, რომლითაც გასასყიდი ფასი შინა ბაზრებში წესიერად ჰკლებულობს წლითი-წლობითად, რითიც უზრუნველ-ყოფილია რუს-მომხმარებელის ინტერესები და არა ხელი წარემართება გატანის საქმეს მისდა საზარალოდ. თუ ითქმის, რომ ფარული გასატანი პრემიები არსებობს ადგილობრივ მომხმარებელთა საზარალოდ — ეს ნათქვამი შეეხება რუსეთში არსებულ შაქრის მაზანდას-კი არა, არამედ სინდიკატებს, რომელნიც თანდათან ხელთ იგდებენ სხვადა-სხვა წარმოებას. ხოლო თუ შაქრის გატანას იმ თვალით დაუწყებენ ყურებას, რომ ამითი უნდა მაზანდა ასწიონ შინა ბაზრებშიო, იმის დამტკიცების სურვილს გამოიჩენენ, რომ ფარული პრემიები ეძლევა შაქარსო, — ეს გარემოება რუსეთს იძულებულ ჰყოფს შემათანაპრებელი გარდასახადები შემოიღოს თუჯსა, ფოლადსა, სპილენძსა, ქვა-ნახშირსა და სხვა ნაწარმოებზედ, რომელთა შესახებაც უფრო ადვილად გამოდგება ფარულ პრემიათა დედა აზრი. რუსეთს სიმართლე მიუძღვის ასე მოეპყრას არა მარტო შეერთებულს შტატებს, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსაც, სადაც პირველად დაიბადა აზრი ფარულ რუსულ პრემიათა გამო, რომელმაც უსამართლო ამერიკული ღონისძიება გამოიწვია. ამ ფეხის ადვილად მოსასხლეტ გზით რომ დაიწყონ სვლა, მაშინ ამას ის მოჰყვება, რომ სავაჭრო ხელ-შეკრულებათა ვადის გასვლამდე რუსეთი თანაბარსავე ღონისძიებას იხმარებს არა მარტო ამერიკის, არამედ დასავლეთ ევროპის ნაწარმოებთა შესახებაც, რომელთა ფასი საზღვარ-გარეთ უფრო იაფია, ვიდრე თვით ამ საგანთა მწარმოებელ სახელმწიფოშიო.

პეკინი. ლიხუნგჩანგმა განაცხადა, რომ პრინცი ჩუანი და იუხსიენი ელჩთა მოთხოვნილებისა თანახმად იქმნენ დასჯილნიო.

ნიუ-იორკი. სან-ფრანცისკოდგან მიღებულ უკანასკნელის ცნობებით, გემს „სიტი რიო-ჟანეიროზედ“ დაიღუპა 122 კაცი, მათ შორის 19 აფიცერი; დანარჩენთა უმრავლესობას აზიელნი შეადგენენ. გადაარჩინეს 79 კაცი, მათ შორის 12 კაიუტის მგზავრი, რამდენიმე აფიცერი; ამერიკის გონკონელი ელჩი დაიხრჩო ცოლითა და შვილებით. გემის უფროსი, უორდი, პალუბაზედ იდგა იმ დრომდე, ვიდრე ყოველის მხრიდგან წყალი შემოადგებოდა; შემდეგ კაპიტნის ადგილას დადგა და განუწყვეტლივ ბრძანებას აძლევდა, ვიდრე გემთან ერთად არ დაიღუპა. გემზედ $^1/_2$ მილიონ დოლარზედ მეტისა ტვირთი იყო.

ტულონი. 10 თებერვალს ზღვაში ჩაუშვეს რუსეთის ახალი სამხედრო გემი „ცესარევიჩი“.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის მთავრობამ აცნობა პორტას, რომ ვუბრძანე ოსმალეთის საზღვარზედ მყოფ ბოლგარიის მოხელეებს ყოველის საშუალებით ხელი შეუშალონ ბრბოებს, ოსმალეთის მიწა-ადგილში არ გადავიდნენო. სამინისტრომ, გადასწყვიტა რა სასტიკად მოექცეს იმ მოხელეებს, რომელნიც მოვალეობას რითიმე დაარღვევენ, სთხოვა პორტას თავისის მხრივ ასეთივე ზომები მიიღოს.

დაბა ბაიაფდიესთან, სოლუნის გროველის მახლობლად, სასტიკი შეტაკება მოხდა შეიარაღებულ ბოლგარელთა ბრბოსა და ოსმალეთის ჯარსა და ჟანდარმთა რაზმს შორის. როგორც სჩანს, ოსმალეთის ჯარს მოულოდნელად დაესხნენ. ბრძოლამ თითქმის მთელი დღე გასტანა, ამასთან მოჰკლეს 5 ჟანდარმი და ორი ჯარის-კაცი, დასჭრეს რამდენიმე კაცი. ბოლგარელების მხრივ მოკლულია 9 კაცი. სოლუნიდგან მისაშველებლად გაგზავნილ იქმნა ოსმალთა ჯარისა და ჟანდარმების რაზმი. ბოლგართაგანი ზოგნი შეიპყრეს, ზოგნი გაიქცნენ.

შანხაი. გამოცემულ იქმნა იმპერატორის ბრძანება, რომლითაც პეკინში მყოფ მანდარინებს დაევალათ რაც შეიძლება ჩქარა შეაკეთონ სასახლეები პეკინში და მოამზადონ სამეფო ოჯახისათვის, რომელსაც, როგორც ისმის, აზრადა აქვს მარტის მეორე ნახევარში გამოემართოს სიანფუოდგან პეკინში. იუწყებიან, რომ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ქვრივ იმპერატრიცას და მხოლოდ იმპერატორი კუან-სუ სცნეს მოპირდაპირედაო.

ბრიუსელი. სამხრეთ აფრიკის საელჩოს მდივანმა ვანბეშოტენმა განაცხადა, რომ ტყუილია უტრეხტიდგან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, ვითომ პრეზიდენტი კრიუგერი და ინგლისის მეფე ჰოლანდიაში ერთმანეთს ინახულებენო.

პარიჟი. გაზეთებში მოთავსებულია ლაგუსტიდგან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ 1000 ბერბერი თავს დაესხა ტუნისის მეციხოვნეთ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენო. ბერბერებს მოუკლეს ასი კაცი და ამდენიც დაუჭრეს; ფრანგების მხრივ 9 კაცია მოკლული, მათ შორის ორი აფიცერი, და 21 დაჭრილი.

ბერლინი. როგორც „Reichs An.“-შია გამოქვეყნებული, გენერალს სტესსელს, აღმოსავლეთ ციმბირის მე-3 ბრიგადის უფროსს, ებოძა მე-2 ხარისხის ორდენი წითელის არწივისა.

დურბანი. 300 ბური 7 თებერვალს ჰეიდელბერგის მახლობლად თავს დაეცა მატარებელს, რომელიც იოჰანესბურგში მიდიოდა. მატარებელი შეჩერდა, რადგანაც ლიანდაგი ააფეთქეს ბურებმა. შემდეგ ბურებმა სროლა დაუწყეს მატარებელს და ხუთი მგზავრი და ერთი ჯარის-კაცი დასჭრეს. ახლად მოსულმა ჯარმა გარეკა ბურები.

კრადოკი. ბურების რაზმი ერთ თვეზედ მეტი შპიცკოპში იდგა მშვიდობიანად. ეხლა ეს რაზმი დაბანაკდა კარრიფონტეინის დასავლეთით ოთხი საათის სავალ მანძილზედ. 8 თებერვალს კარრიფონტეინში მიმავალი ფოსტა ბურებმა შეაჩერეს და დასწვეს.

ლონდონი. მეფე საღამოს 10 საათზედ სადგურ ჩარინგ-კროსსიდგან პორტ ვიქტორიაში წავიდა.

12 თებერვალი.

ოდესსა. 9 თებერვალს ოდესსიდგან გასული მატარებელი თოვლში სდგას, ბირზულის იქიდგან გზა, როგორც მოელოდებიან, 15 თებერვალზედ ადრე არ გაიხსნება. თოვლშივეა მომწყვდეული ბევრი მგზავრი, რომელნიც სურსათის გაგზავნას თხოულობენ. პირველისავე მატარებლით ათასის კაცის ულუფა პური გაიგზავნა.

პეკინი. რობერტ გარტმა ელჩებს მიჰმართა და სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადა იმის გამო, რომ ზოგიერთ უცხო საელჩოთ განზრახვა აქვთ საიმპერატორო დამოენის შენობანი მიითვისონო. იტალიის საელჩოს, მაგალითად, განზრახვა აქვს დაიპყროს ნაჭერი მიწისა, რომელიც გარტის საკუთრებას შეადგენს.

ტიან ძინი. ჩინეთის საიმპერატორო ოჯახის რამდენიმე ასი კაცი თავს დაესხა გერმანიის რაზმს, 50 კაცისაგან შემდგარს, პაოტინფუს დასავლეთით. გერმანელები დიდად იყვნენ შევიწროებულნი, მაგრამ ბოლოს მაინც განფანტეს ჩინელები. გერმანელთა შორის მოკლულია ერთი და დაჭრილი შვიდი; ჩინელთაგან მოკლული და დაჭრილი 200 კაცია.

რომი. საბერძნეთის მეფის გიორგის წინადადებას იმის შესახებ, რომ კრიტოსზედ, საერთაშორისო ჯარის ნაცვლად, საბერძნეთის ჯარი იყოსო, მფარველმა-სახელმწიფოებმა არავითარი თანაგრძნობა არ გამოუცხადეს.

ბერლინი. გენერალი ვერდერი პეტერბურგს წავიდა.

კონსტანტინეპოლი. პოლიციამ დაჰხურა სტამბა, რომელიც ეკუთვნოდათ მაკედონელ ბოლგარებს კალჩოსა და სტოიანოვს. ამათ სახლებიც გაჩხრიკეს. სტოიანოვი შვილებითურთ დაპატიმრებულია. პოლიცია დიდად ადევნებს თვალ-ყურს აქაურ მაკედონელ ბოლგარებს. დაჟინებით გაისმის ხმა, რომ განზრახვა აქვთ იემენში ამბოხება მოახდინონო.

ლონდონი. იუწყებიან, რომ გუშინ კაბინეთის საბჭოს წევრთ მოსაწვევი ბარათები გაეგზავნათ, რათა განიხილონ მესანიშნავი სამხედრო საქმენიო. მათის მოწვევის მიზეზი კიტჩენერის დეპეშაა, რომელიც იცნობება, რომ ბოტამ კაცი გამოგზავნა და განაცხადა; ალყა მარტყია და ამიტომ არ შემიძლიან მოქმედებაო. იგი თხოულობს, პირადად მინდა მოველაპარაკოთ საზოგადო დამორჩილების შესახებაო. კიტჩენერს პირადად მოლაპარაკებისთვის 14 თებერვალი დაუნიშნავს.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების პეკინელი ელჩი კონჯერი, თავისის სურვილის თანახმად, ორის თვით დათხოვნილ იქმნა; კომისსარს როკშლის მიენდო მოლაპარაკების განგრძობა.

კრადოკი. 400 ბური თავს დაეცა ფიშრივერის სადგურის მეციხოვნე ჯარს, მაგრამ საშველად მისწრო შეიარაღებულმა მატარებელმა და ბურები განფანტა. ინგლისელთაგან დაჭრილია სამი კაცი, რომელთა შორის ერთი აფიცერია.

◆

Дозволено цензурою. Тифлис, 12-го Февраля 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე